საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 066633

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. თბილისი, გეგეჭკორის ქ. №6 — 24.01.2023წ.
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

ბიოშრავალფეროვნების კომფლექსის სამსახურის ფოთლელი საგურამოს კომფლექსის
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი)
გასაოცარების მცველ ეკოლოგიის უფროსი სპეციალისტი - ინსპექტორი [redacted]

სამართალდამრღვევი: შპს „ს.ბ.ედელი" (ს/კ-441557717); იურიდიული მისამართი:
[redacted]
(ძოსაიმენი სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში ციფრითი ასახელი, გვარი, დაბადების
[redacted] ...ემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო
ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ საბანაკიერო მეურნეობის სპეციალური №000020 ნაგებობის მფლობელ
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)
შპს „ს.ბ.ედელი"-ს (ს/კ-441557717) სსიპ გარემოს ეროვნული საგუნდის უფროსის 2022წლის 14 ივლისის №141/ნ ბრძანებით დადგენილი საფრთხეები, ავარიული ზემოქმედების მქონე ობიექტის "ე") ქვეკატეგორიის თანახმად შპს „ს.ბ.ედელი" კანონმდებლობით ნებადართულ 6 თვის ვადაში აწარმოებდა საფრთხეების ანალიზი ადეკვატურობის კვლევისა-თვის ყარაულ-გაბუნების ბოლოტის (ბოლოტი ერთ ადგილზეა 1000 ფრინველის მაბუნების) ეკოლოგიურ სსიპ ეროვნულ საფარეულ საგუნდისგან და ბოლოტის ფუნქციისა აუცილებელია მის საფრთხეზე ყარაულ მცველ-ეკოლოგების ინფორმაციები. სსიპ გარემოს ეროვნული საგუნდის უფროსის 2022წლის 14 ივლისის №141/ნ ბრძანებაზე ნაგებობისგან ბოლო 2022 წლის 24 ივლისს.
სსიპ ეროვნული საფარეულ საგუნდის 2023წლის 23 იანვრის №11/285 ნებართვით დასტურდება, რომ ნაგებობისაგან სსიპ ეროვნული საფარეულ საგუნდისთვის ფუნქციისა ყარაულ-გაბუნების ბოლოტი ეს წარუდგენია.

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მესამე ნაწილის _____ დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

_____ დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

_____

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

_____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

_____

_____

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

(ხელმოწერა)

_____

[redacted]ოწერა)

ოქმის შემდგენელი: [redacted]

[redacted]ლმოწერა)

სამართალდამრღვევი: [redacted]

(ხელმ[redacted]

ოქმის ერთი პირი მივიღე: [redacted]

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004144

„06" 05 2025 წ. ქ.თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ქ.თბილისი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ვ.ხოშტარიას ქ. 3 [illegible] №3.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ს.გ ფუდი" ს/კ 445577717;
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურიდ. მის: ქ. ყვარელი, [illegible] [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შე[redacted]
სამართლის მიმართ [illegible] №000028 [illegible].

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ზემოაღნიშნული
დარღვევების [illegible] 2025 წლის 25 აპრილის
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)
№DES 92500022639 [illegible] [illegible] №3.

გასატარებელი ღონისძიებები: ვალდებულია 11/5 [illegible] [illegible] [illegible] 2025 წლის 06 მაისის №21/4225 წერილით [illegible] [illegible] №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: დანართი №1 - 33 გვერდი; დანართი №2 - 01 გვერდი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლი [illegible] [illegible] [illegible]

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible] [illegible] [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible] [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

06 მაისი 2025

N 21/4225

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

უფროსს ბატონ ლევან ჯღარკავას

ბატონო ლევან,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 25 აპრილის DES 9 25 00022639 წერილი, რომელიც ეხება სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის (000020) მფლობელის შპს ,,ს.მ. ედემი''-ს (ს/კ 441557717) მიმართ სალიცენზიო პირობის შესრულებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრას.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შპს ,,ს.მ. ედემი''-ს (ს/კ 441557717) განესაზღვროს გონივრული ვადა, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არა უგვიანეს **სამი თვის ვადაში უზრუნველყოს** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ტყის აღდგენა-გაშენების პროექტის შეთანხმება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.

პატივისცემით,
ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/4225-21-2-202505061038

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 72 02 69
info@des.gov.ge

25/04/2025

DES 9 25 00022639

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური №000020 ლიცენზიის მფლობელს, შპს "ს.მ. ედემი"-ს (ს/კ 441557717), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 ივნისის №141/ს ბრძანების მეორე პუნქტის "დ)" ქვეპუნქტის თანახმად, დაუდგინდა სალიცენზიო პირობა, რომლის თანახმად, შპს "ს.მ. ედემი" ვალდებული იყო ლიცენზიის ვადის გაგრძელებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველეყო, სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ტყის აღდგენა-გაშენების პროექტის (პროექტი უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ 1000 ნერგის მოშენებას) შეთანხმება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან და პროექტის შესაბამისად უზრუნველეყო სალიცენზიო ტერიტორიაზე ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები.

ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობის შეუსრულებლობის ფაქტზე, შპს "ს.მ. ედემი"-ს მიმართ, დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ 2023 წლის 24 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №066633 ოქმი, რომელიც დეპარტამენტის 2023 წლის 26 იანვრის №DES82300004801 წერილით განსახილველად გადაეგზავნა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

სასამართლომ, 2023 წლის 25 აპრილის №4/37-23 დადგენილებით, კომპანია სცნო სამართალდამრღვევად და სახდელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, შპს "ს.მ. ედემი"-ს მიერ, 2023 წლის 23 იანვრის №01 და 2023 წლის 16 მარტის №01 წერილებით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წადგენილი იქნა ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი, რომელიც არ შეესაბამებოდა "ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 ივლისის №383 დადგენილების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის რიგ მოთხოვნებს, რის შესახებაც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის 27 იანვრის N11/443 და 21 მარტის N11/1776 წერილებით ეცნობა კომპანიას. ამასთან, დღეს არსებული მდგომარეობით, შპს "ს.მ. ედემი"-ს მიერ, შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში შესათანხმებლად არ არის წარდგენილი.

როგორც თქვენთვის ცნობილია, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო პირობების

შეუსრულებლობის გამო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების შემდეგ ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვა აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის აღმოსაფხვრელად, ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენის მიზნით, შპს "ს.მ. ედემი"-ს განუსაზღვროთ გონივრული ვადა და აღნიშნულის თაობაზე აცნობოთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი: 31 ფურცლად.

პატივისცემით,

ლევან ჯღარკავა
დეპარტამენტის უფროსი

ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლო

ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ №21

ტელ: 0(361)222518

საქმე 4/37-23, 4/443-23,

06.02.2024 წელი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ქ. თბილისი, ვ. წითლანაძის პირველი შესახვევი №1

გეგზავნებათ ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება და 2023 წლის 12 დეკემბრის დადგენილება.

პატივისცემით,

სხდომის მდივანი:

საქმე №411510023006793332
საქმე №4/37-23

8616135488707
www.ecd.court.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ

25.04.2023 წელი, ქ. გურჯაანი

ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლო
მოსამართლე - იოსებ აბრამიძე
სხდომის მდივანი -

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანო - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველო

წარმომადგენელი -

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - **შპს „ს.მ. ედემი“** (ს/კ 441557717, იურიდიული მისამართი -

წარმომადგენელი -

სასამართლომ ღია სხდომაზე განიხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის მასალები **შპს „ს.მ. ედემის“** მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. 2023 წლის 30 იანვარს, ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან განსახილველად შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №066633 ოქმი და მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური №000014 ლიცენზიის მფლობელს - **შპს „ს.მ. ედემს“**, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 ივნისის №141/ს ბრძანებით, დაუდგინდა სალიცენზიო პირობები. კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიანტი ვალდებული იყო, ამავე ბრძანების გამოცემიდან, რომელიც **შპს „ს.მ ედემს“** ჩაბარდა 2022 წლის 24 ივნისს, ექვსი თვის ვადაში, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში

დასამტკიცებლად წარედგინა ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი, რაც მას დადგენილ ვადაში არ განუხორციელებია. შესაბამისად, შპს „ს.მ ედემმა“ დარღვია სალიცენზიო პირობა, სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, შპს „ს.მ ედემის“ ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:

სასამართლო სხდომაზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

3. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტება:

სასამართლო სხდომაზე, **შპს „ს.მ. ედემის“** წარმომადგენელმა დაადასტურა სამართალდარღვევის ოქმში მითითებული ფაქტი და ითხოვა პატიება. ამასთან, მან განმარტა, რომ ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი დაგვიანებით აქვს წარდგენილი.

4. წერილობითი მტკიცებულებები:

4.1. 24.01.2023 წლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №066633 ოქმი და დანართი;
4.2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 ივნისის №141/ს ბრძანება;
4.3. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის 23 იანვრის №11/285 წერილი;
4.4. მიმართვის წერილები;
4.5. მინდობილობები;
4.6. ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 2023 წლის 17 იანვრის დადგენილება.

5. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობა და ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ჩამდენს. ამასთან, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სასამართლო მოიხმობს ხსენებულ საკანონმდებლო აქტის მე-2 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. სასამართლო ასევე მოიხმობს ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-8 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას. სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ან ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება. ამავე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, გენერალური ლიცენზია არის უფლება, როდესაც პირს შეუძლია ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე, განახორციელოს მსგავსი ტიპის საქმიანობები და ვალდებული არ არის ცალ-ცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით,

სპეციალური ლიცენზია არის უფლება, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს რომელიმე ვიწრო საქმიანობა, ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგადი სახეობიდან და ვალდებულია წარმოადგინოს მხოლოდ სპეციალური სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებები. ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრას სარგებლობის ლიცენზიის სახეებს, მათ შორის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი - სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია..

დადგენილია, რომ **შპს „ს.მ. ედემი"** არის სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელი, რომელსაც, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 ივნისის №141/ს ბრძანებით, დაუდგინდა სალიცენზიო პირობები. კერძოდ, ზემოაღნიშნული ბრძანებისმე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიანტი ვალდებული იყო, ამავე ბრძანების გამოცემიდან, რომელიც შპს „ს.მ ედემს" ჩაბარდა 2022 წლის 24 ივნისს, ექვსი თვის ვადაში, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასამტკიცებლად წარედგინა ტყის აღდგენა-გაშენების პროექტი, რაც მას დადგენილ ვადაში არ განუხორციელებია.

შესაბამისად, **შპს „ს.მ ედემის"** მიერ დარღვეულია სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის პირობა, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ამდენად, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ბრალეულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში.

6. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები:

6.1. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ბრალეულის მიერ აღიარება და მონანიება, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები საქმეში წარმოდგენილი არ არის.

6.2. ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას, სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს 17.01.2023 წლის დადგენილებით (საქმე №4/406-22), **შპს „ს.მ, ედემს"**, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე, 40-ე, 66-ე, 266-ე, 267-ე, 271-ე, 273-ე, 279-ე, 283-ე, 290-ე, 311-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. **შპს „ს.მ ედემი“** (ს/კ 441557717, იურიდიული მისამართი დირექტორი -) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდაძღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით, დაეკისროს ჯარიმა **2000** (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) უნდა გადაიხადოს დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 07 (შვიდი) დღისა და ქვითარი (დედანი) დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ლაგოდეხის მაგისტრატ სასამართლოში. თანხა უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ხაზინაში (ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 302003541). წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა), ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს (ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №21) მეშვეობით.

მოსამართლე იოსებ აბრამიძე

ასლი სწორია
შესულია ელექტრონულ ფორმატში
გურჯაანის რაიონული სასამართლო
მაგისტრ
ხელმოწერა.
06 - 11 - 03 2024